რუსუდან ქუთათელაძე
ანა ბოლქვაძე

ინფორმაციული ტექნოლოგიები უმაღლესი სასწავლებლების ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგში

უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების მართვის სისტემის სრულყოფა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას. თანამედროვე ეტაპზე უმაღლესი სკოლის მართვის სისტემის სრულყოფის აუცილებლობა განპირობებულია უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის საორგანიზაციო და ეკონომიკური პირობების სწრაფი ცვალებადობით, ხისტი კონკურენტული ბრძოლით საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე და სხვ. დღესდღეობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საკუთარი განვითარების მიმართულებებს, მიზნებს და მათი მიღწევის მეთოდებს, რა თქმა უნდა, ათანხმებენ რა მათ სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებთან.

აღსანიშნავია ასევე, რომ თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში ცვლილებების შესაბამისად შეიცვალა მოთხოვნები განათლების დონის და ხარისხის მიმართ. საზოგადოების გაზრდილი მოთხოვნები განათლების ხარისხის მიმართ გახდა მთავარი ფაქტორი.

ცვლილებები, რომლებიც ხდება უმაღლესი სასწავლებლების ირგვლივ, მოითხოვენ მათ ადეკვატურ რეაქციას, უპირველეს ყოვლისა საორგანიზაციო-მმართველობითი ინოვაციების დანერგვას, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმვას, დაბალანსებული მაჩვენებლების სისტემას, შედეგზე ორიენტირებულ ბიუჯეტირებას, პროექტების მართვას, ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგს და სხვა მმართველობით ინოვაციებს.

დღესდღეობით საუნივერსიტეტო მენეჯმენტი, რომელიც ნერგავს მმართველობით ინოვაციებს, განიცდის რიგ ცვლილებებს, რომლებსაც ძირითადად მიეკუთვნება:

- მართვის სხვადასხვა დონეზე მიზნებისა და ამოცანების შეუთანხმებლობა;
- მმართველობითი ინოვაციების არაეფექტური დანერგვა;
- სასწავლო პროცესში ჩაბმული ტექნიკური პერსონალის მოსაზრებების უგულველყოფა და ა.შ.

ამ პრობლემების გადაწყვეტა გულისხმობს სხვადასხვა მეთოდების ინტეგრაციას, რომელიც ეფუძნება პროცესულ მართვას და ბიზნეს-

პროცესების რეინჟინერინგს (რა თქმა უნდა, საუბარია მმართველობითზე). ეს მოგვცემს საშუალებას ჩავრთოთ სტრუქტურული ქვედანაყოფები და უმაღლესი სასწავლებლის პერსონალი უმაღლესი სასწავლებლის მართვაში. ასევე გაზრდის მათ დაინტერესებას და პასუხისმგებლობას, შეაფასებს მათ წვლილს უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის სტრატეგიული მიზნების და მაჩვენებლების მიღწევაში.

უმაღლესი სასწავლებლების ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის მიზანია სპეციალისტების მომზადების დონის ამაღლება.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი _ ეს არის პრიორიტეტული ბიზნეს-პროცესების განსაზღვრა ეფექტიანი მუშაობისათვის და მათი ოპტიმალურობის ანალიზი, შეფასება და ასევე პროცესის შესრულების ოპტიმალური მოდელის აგება.

რეინჟინერინგის აუცილებლობა დაკავშირებულია თანამედროვე საქმიანი სამყაროს მაღალ დინამიურობასთან. უწყვეტი და საკმაოდ არსებითი ცვლილებები ტექნოლოგიებში, მოთხოვნილება მაღალი დონის სპეციალისტებზე წარმოადგენს ჩვეულებრივ მოვლენას. უმაღლესი სასწავლებლები ცდილობენ რა შეინარჩუნონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა, იძულებულნი არიან გარდაქმნან ბიზნეს-პროცესების სტრატეგია და ტაქტიკა.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი წარმოადგენს სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმართულებას, რომელიც წარმოიშვა ორი განსხვავებული დისციპლინის მიჯნაზე. აქედან გამომდინარე, იგი მოითხოვს პრობლემური ინფორმაციის წარმოდგენისა და გადამუშავების ახალ სპეციფიკურ საშუალებებს, რომლებიც გასაგები იქნება როგორც მენეჯერებისათვის, ასევე საინფორმაციო სისტემების შემქმნელებისათვის. ასეთი საშუალებები მოითხოვენ საინფორმაციო ტექნოლოგიების საკვანძო მიღწევების ინტეგრაციას და შესაბამისი საშუალებების რეინჟინერინგის მხარდასაჭერად შექმნას.

საგანმანათლებლო პროცესების რეინჟინერინგის საშუალებები და მეთოდოლოგია ანალოგიურია იმისა, რომელიც გამოიყენება მრეწველობის ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგში, თუმცა საგანმანათლებლო პროცესების რეინჟინერინგს ახასიათებს თავისებურებებიც.

უმაღლეს სასწავლებელში რეინჟინერინგის ჩატარების შემთხვევაში განასხვავებენ ბიზნეს-პროცესების შემდეგ კატეგორიებს:

- პროცესები, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფენ სტუდენტების მომზადებას;
- პროცესები, რომლებიც ხელს უწყობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას;

- პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია აბიტურიენტების მიღებასთან;
- დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული პროცესები;
- ინფრასტრუქტურული პროცესები;
- გარდაქმნის დამხმარე პროცესები, რომლებიც გამოიყენება ისეთ სიტუაციებში, როდესაც საჭიროა არსებული ტექნოლოგიების შეცვლა.

უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია შემდეგი სამუშაობების ჩატარება:

- საკვანძო ბიზნეს-პროცესების ან ინფორმაციის ძირითადი ნაკადების გამოყოფა;

- რეალურად არსებული ბიზნეს-პროცესების აღწერა – პროცესების შინაარსი, პროცესების მონაწილეების ურთიერთკავშირი, პროცესების მონაწილეების და მონაცემთა ბაზების საინფორმაციო ნაკადებში მათი როლების ურთიერთკავშირი;

- ბიზნეს-პროცესების ხელახლა პროექტირება;

- გადაწყვეტილებების მიღების მომზადება.

ბიზნეს-პროცესების რეალიზაციის არსებული ტექნოლოგიების ანალიზის შედეგია უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის სრულყოფა. როგორც წესი, ეს მოიცავს:

- ბიზნეს-პროცესების არსებული ტექნოლოგიების ამაღლებას რაციონალური ტექნოლოგიების დონემდე;

- უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის დაგეგმვის, მართვის და კონტროლის სისტემების ცვლილებებს.

დღესდღეობით, ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოადგენს არა უბრალოდ სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიების (პერსონალური კომპიუტერების, საკომუნიკაციო ქსელების და საშუალებების, რობოტოტექნიკის და ა.შ.) ბაზას, არამედ საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ინფორმაცია გადაეცემა მომხმარებელს.

აქედან გამომდინარე, საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიული მიზანია _ მენეჯმენტის ხელშეწყობა, ბაზრის დინამიკაზე რეაგირება, კონკურენტული უპირატესობის შექმნა, მხარდაჭერა და გაღრმავება.

ამჟამად, სასწავლო დაწესებულებების ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ქვედანაყოფების წინაშე დგას ამოცანა არა მარტო აღმოუჩინოს IT-მომსახურება უმაღლესი სასწავლებლების ყველა დანაყოფს, არამედ მიიღოს მონაწილეობა ბიზნეს-შედეგების მიღწევაში, ბიზნეს-პროცესების მოდელირებაში, ანალიზსა და ოპტიმიზაციაში. IT და ბიზნესი ეს არის ერთიანი ბირთვი, და რაც უფრო შეთანხმებულად იმუშავებენ ისინი, მით უფრო უკეთესი იქნება შედეგები.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის გამოყენების პრაქტიკამ ცხადყო,

რომ რეინჟინერინგი არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელია, თუმცა მისი წარმატებული ჩატარებისათვის მნიშვნელოვანია დასაბუთებული მეთოდოლოგიების და გადასაწყვეტი ადეკვატური ამოცანების შესაბამისი თანამედროვე საშუალებების გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ IT თავისთავად ვერ უზრუნველყოფს იმ კარდინალურ განახლებას, რომელსაც რეინჟინერინგის დანერგვიდან ელოდებიან. აშკარაა, რომ ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი ითვალისწინებს სისტემური მიდგომის გამოყენებას მისი დანერგვის შემთხვევაში. ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი ეხება საორგანიზაციო სისტემის აბსოლუტურად ყველა კომპონენტს, რადგანაც ისინი მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებულნი და მოითხოვენ მათ სრულ ან ნაწილობრივ გარდაქმნას.

უმაღლესი სასწავლებლების რეინჟინერინგის შედეგია: ბიზნეს-პროცესების სტრუქტურიზაცია, ოპტიმიზაცია და ანალიზი, მისი აღწერის კრიტერიუმების შემუშავება, ავტომატიზაციის სისტემის დანერგვა.

უმაღლესი სასწავლებლების ბიზნეს-პროცესების ჩატარებისას ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი მნიშვნელოვანია, თუმცა ინფორმაციული ტექნოლოგიები არ არის ერთადერთი არსებითი ელემენტი რეინჟინერინგისათვის.

<u>РУСУДАН КУТАТЕЛАДЗЕ</u>
<u>АНА БОЛКВАДЗЕ</u>

ИНФОРМАЦИОННЫЕ ТЕХНОЛОГИИ В РЕИНЖИНИРИНГЕ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ ВЫСШИХ УЧЕБНЫХ ЗАВЕДЕНИЙ

Р е з ю м е

В данной статье авторы рассмотривают вопросы совершенствования систем управления высших учебных заведений и те изменения, которые стоят перед ними.

В статье внимание заострененно на необходимости применения информационных технологий в реинжиниринге бизнес-процессов. Рассмотренны категории бизнес-процессов, а также стратегические цели информационных технологий – поддержка менеджмента, реагирование на динамику рынка, создание конкурентных преимуществ и т.д.

В статье речь идет о результатах реинжиниринга высших учебных заведений, в частности о структуризации, оптимизации и анализе бизнес-процессов, хотя отмечается и то, что информационные технологии не являются единственным существенным элементом для реинжиниринга.